

STATEMENT OF INTERNATIONAL CATALOGUING PRINCIPLES

<http://www.ifla.org/publications/statement-of-international-cataloguing-principles>

კატალოგიზაციის საერთაშორისო პრინციპების დებულება და მისი ინგლისურ-რუსულ-ქართული ლექსიკონი

მთარგმნელი თეიმურაზ ჩხენკელი
ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა
15 აპრილი 2013

შესავალი

დებულება პრინციპების შესახებ - საყოველთაოდ ცნობილი როგორც “პარიზის პრინციპები” - დაამტკიცეს 1961 წელს საერთაშორისო კონფერენციაზე კატალოგიზაციის პრინციპების შესახებ [1]. მისი მიზანი, გამხდარიყო კატალოგიზაციაში საერთაშორისო სტანდარტიზაციის საფუძველი, ნამდვილად იქნა მიღწეული: მთელს მსოფლიოში კატალოგიზაციის წესების უმეტესობა შექმნილი მას შემდეგ ზუსტად ან, სულ ცოტა, დიდი სიზუსტით იცავდნენ ამ პრინციპებს.

ორმოც წელზე მეტის შემდეგ კატალოგიზაციის საერთო საერთაშორისო პრინციპები კიდევ უფრო სასურველი გახდა, რადგანაც კატალოგიზატორებმაც და მკითხველებმაც მთელ მსოფლიოში დაიწყეს OPAC-ების (Online Public Access Catalogues), ონლაინ კატალოგების გამოყენება. ახლა უკვე, 21-ე საუკუნის დასაწყისში, იფლას ძალისხმევით შეიქმნა ახალი დებულება კატალოგიზაციის პრინციპების შესახებ, რომლებიც გამოყენებულია ბიბლიოთეკების ონლაინ კატალოგებსა და მათ ფარგლებს გარეთ. პირველი ამ პრინციპებიდან არის მოხერხებულობა კატალოგის მომხმარებლებისთვის.

ახალი დებულება ცვლის პარიზის პრინციპებს და აფართოებს მათი გამოყენების არეს: 1) მხოლოდ ტექსტური ტიპის ნაწარმოებებიდან ყველა ტიპის მასალამდე და 2) მხოლოდ თავსათაურის არჩევისა და მისი ფორმის შერჩევისგან საბიბლიოთეკო კატალოგებში გამოყენებული ბიბლიოგრაფიული და ავტორიტეტული მონაცემების ყველა ასპექტმდე. იგი შეიცავს არა მხოლოდ პრინციპებსა და ამოცანებს (ანუ კატალოგის ფუნქციებს), არამედ სახელმძღვანელო წესებსაც, რომლებიც უნდა იქნენ ჩართული კატალოგიზაციის წესებში საერთაშორისო მასშტაბით და, აგრეთვე, რეკომენდაციებს ძიებისა და ძიების შედეგების მიღების შესახებ.

მოცემული დებულება შეიცავს:

1. მოქმედების არეს (გამოყენების არეს)
2. ზოგად პრინციპებს
3. აბსტრაქტულ ობიექტებს (Entities - არსებს), ატრიბუტებს (თვისებებს) და კავშირებს (მიმართებებს)
4. კატალოგის ამოცანებს და ფუნქციებს
5. ბიბლიოგრაფიულ აღწერილობას
6. წვდომის წერტილებს
7. ძიების შესაძლებლობების საფუძვლებს

მოცემული დებულება ეფუძნება კატალოგიზაციის მდიდარ ტრადიციებს მსოფლიოში [2] და, აგრეთვე, კონცეპტუალურ მოდელს, რომელიც შექმნილია ივლას დოკუმენტში "ფუნქციური მოთხოვნები ბიბლიოგრაფიული ჩანაწერების მიმართ" - *Functional Requirements for Bibliographic Records (FRBR)* [3].

ამ დებულების შემქმნელებს იმედი აქვთ, რომ იგი გამოიწვევს ბიბლიოგრაფიული და ავტორიტეტული მონაცემების გაცვლის გაზრდას და ხელს შეუწყობს კატალოგიზაციის წესების შემქმნელების ძალისხმევას კატალოგიზაციის საერთაშორისო წესების შექმნაში.

1. გამოყენების არე (მოქმედების არე)

აქ ჩამოყალიბებული პრინციპები განკუთვნილია კატალოგიზაციის წესების განვითარების სახელმძღვანელოდ. ისინი ვრცელდება ბიბლიოგრაფიულ და ავტორიტეტულ ჩანაწერებსა და თანამედროვე საბიბლიოთეკო კატალოგებზე. ეს პრინციპები შეიძლება იყოს გამოყენებული ბიბლიოგრაფიებისა და სხვა მონაცემთა ფაილების მიმართ, რომლებსაც ქმნიან ბიბლიოთეკები, არქივები, მუზეუმები და სხვა ორგანიზაციები.

მათი მიზანია უზრუნველყონ შეთანხმებული მიდგომა ნებისმიერი სახის ბიბლიოგრაფიული რესურსის აღწერილობითი და საგნობრივი კატალოგიზაციის მიმართ.

2. ზოგადი პრინციპები

რამდენიმე პრინციპი წარმართავს კატალოგიზაციის წესების შექმნას [4]. მათგან უმნიშვნელოვანისია მოხერხებულობა მომხმარებლისთვის [5].

- 2.1. მოხერხებულობა მომხმარებლისთვის.** აღწერილობებისა და წვდომისათვის განკუთვნილ სახელების (სახელწოდებების) კონტროლირებადი ფორმების შექმნისას გადაწყვეტილებები უნდა იქნას მიღებული მომხმარებლის გათვალისწინებით.
- 2.2. საერთო (საყოველთაო) გამოყენება.** ტერმინოლოგია (ლექსიკა) გამოყენებული აღწერილობებში და წვდომისას უნდა შეესაბამებოდეს მომხმარებელთა უმეტესობის ლექსიკონს.
- 2.3. წარმოდგენა.** აღწერილობები და სახელების (სახელწოდებების) კონტროლირებადი ფორმები უნდა ეფუძნებოდეს იმას, თუ როგორ აღწერს თვით აბსტრაქტული ობიექტი (არსი) თავის თავს.
- 2.4. სიზუსტე.** აღსაწერი აბსტრაქტული ობიექტი (არსი) უნდა იყოს უტყუარად (სარწმუნოდ) წარმოსახული (წარმოჩენილი).
- 2.5. საკმარისობა და აუცილებლობა.** აღწერილობებსა და სახელების (სახელწოდებების) წვდომის კონტროლირებად ფორმებში უნდა იყოს ჩართული მხოლოდ ისეთი მონაცემთა ელემენტები, რომლებიც საჭიროა მომხმარებელთა ამოცანების შესასრულებლად და რომელთა ჩართვა არსებითია აბსტრაქტული ობიექტის ცალსახად იდენტიფიცირებისთვის.
- 2.6. მნიშვნელობა (მნიშვნელოვნობა).** მონაცემთა ელემენტები უნდა იყოს ბიბლიოგრაფიულად მნიშვნელოვანი.
- 2.7. ეკონომიურობა.** როდესაც არსებობს მიზნის მიღწევის რამდენიმე ალტერნატიული გზა, უპირატესობა ენიჭება გზას, რომელიც იძლევა საერთო ეკონომიას (უმცირესი დანახარჯები ან უმარტივესი მიდგომა და ა.შ.)
- 2.8. თანამიმდევრულობა და სტანდარტიზაცია.** აღწერილობები და წვდომის წერტილები უნდა იყოს სტანდარტიზებული შეძლებისდაგვარად. ეს მეტი შეთანხმებულების საშუალებას იძლევა, რაც თავის მხრივ ზრდის ბიბლიოგრაფიული და ავტორიტეტული ჩანაწერების გაცვლის შესაძლებლობას.
- 2.9. ინტეგრაცია.** ყველა ტიპის მასალის აღწერილობები და ყველა ტიპის აბსტრაქტული ობიექტების სახელები (სახელწოდებები) უნდა იყოს დაფუძნებული საერთო წესებზე იმდენად, რამდენადაც არის შესაძლებელი.

კატალოგიზაციის წესები უნდა იყოს დასაბუთებულად დაცული, და არა თვითნებური და შემთხვევითი. გასაგებია, რომ ეს პრინციპები გარკვეულ

სიტუაციებში ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს და, ასეთ შემთხვევებში, უნდა იყოს მიღებული დასაბუთებული და პრაქტიკული გადაწყვეტილებები.

3. აბსტრაქტული ობიექტები, ატრიბუტები და კავშირები

კატალოგიზაციის წესებში უნდა იყოს გათვალისწინებული აბსტრაქტული ობიექტები, ატრიბუტები და კავშირები, რომლებიც განსაზღვრულია ბიბლიოგრაფიული უნივესუმის კონცეპტუალურ მოდელებში [6].

3.1. აბსტრაქტული ობიექტები

ბიბლიოგრაფიული და ავტორიტეტული მონაცემებით შეიძლება იყოს წარმოდგენილი შემდეგი აბსტრაქტული ობიექტები:

ნაწარმოები Work

განსახიერება Expression

განხორციელება Manifestation

ფიზიკური ერთეული (ეგზემპლარი) Item [7]

პირი Person

გვარი Family

ორგანიზაცია (კოლექტიური ავტორი) Corporate Body [8]

კონცეფცია Concept

საგანი (ობიექტი, ნივთი) Object

მოვლენა, ღონისძიება, შემთხვევა Event

ადგილი Place[9].

3.2. ატრიბუტები

ყველა ის ატრიბუტი, რომელთა მეშვობით ხდება თითოეული აბსტრაქტული ობიექტის იდენტიფიცირება, უნდა იყოს გამოყენებული როგორც მონაცემთა ელემენტები.

3.3. კავშირები

უნდა განისაზღვროს ბიბლიოგრაფიულად მნიშვნელოვანი კავშირები აბსტრაქტულ ობიექტებს შორის.

4. კატალოგის ამოცანები და ფუნქციები [10]

კატალოგი უნდა იყოს ეფექტური და ქმედითი ინსტრუმენტი, რომელიც საშუალებას მისცემს მომხმარებელს გამოიყენოს შემდეგი შესაძლებლობები:

4.1. ატრიბუტებით ან კავშირებით ძიების შედეგად იპოვოს (მონახოს) ბიბლიოგრაფიული რესურსები საბიბლიოთეკო ფონდში (კოლექციაში):

4.1.1. იპოვოს (მონახოს) ერთეულოვანი რესურსი

4.1.2. იპოვოს (მონახოს) იმ რესურსების სიმრავლე, რომლებიც წარმოადგენენ:

- ყველა რესურსს, რომლებიც ეკუთვნიან ერთი და იგივე ნაწარმოებს
- ყველა რესურსს, რომლებიც წარმოადგენენ ერთი და იგივე განსახიერებას
- ყველა რესურსს, რომლებიც წარმოადგენენ ერთი და იგივე განხორციელების მაგალითებს
- ყველა რესურსს, რომლებიც დაკავშირებულია მოცემულ პირთან, გვართან ან ორგანიზაციასთან
- ყველა რესურსს მოცემულ თემაზე
- ყველა რესურსს, განსაზღვრულს სხვა კრიტერიუმებით (ენა, გამოქვეყნების ადგილი, გამოქვეყნების თარიღი, შემცველობის ტიპი, ინფორმაციის მატარებლის ტიპი და სხვ.), რომლებიც ჩვეულებრივ გამოიყენება როგორც ძიების შედეგების შეზღუდვის დამატებითი კრიტერიუმები;

4.2. ბიბლიოგრაფიული რესურსის ან აგენტის იდენტიფიცირება (ანუ იმის დადასტურება, რომ ჩანაწერში აღწერილი აბსტრაქტული ობიექტი შეესაბამება საძიებო აბსტრაქტულ ობიექტს ან მსგავსი მახასიათებლების ქმონე აბსტრაქტული ობიექტები განსხვავდებიან ერთმანეთისგან);

4.3. იმ ბიბლიოგრაფიული რესურსის შერჩევა, რომელიც შეესაბამება მომხმარებლის მოთხოვნილებებს (ანუ იმ რესურსის ამორჩევა რომელიც აკმაყოფილებს მომხმარებლის მოთხოვნებს ისეთი მახასიათებლების მიმართ, როგორცაა მედიუმი (აღჭურვილობა, ტექნოლოგიური გარემო), შიგთავსი (მაგ.: ტექსტი, მეტყველება, თეატრალური წარმოდგენა, შესრულებული მუსიკა და სხვ.), ინფორმაციის მატარებელი და ა.შ. ან უარყოფილ იქნას რესურსი (უარი ითქვას რესურსზე), როგორც შეუსაბამო მომხმარებლის მოთხოვნილობების მიმართ);

4.4. აღწერილი ფიზიკური ერთეულის შექენა ან მასთან წვდომის მოპოვება (ანუ მომხმარებლისთვის ისეთი ინფორმაციის მიწოდება, რომელიც საშუალებას მისცემს მას შეიძინოს, მიიღოს დროებით ხმარებაში და სხვ., ან შეეძლოს ელექტრონული წვდომა დაშორებულ ფიზიკურ ერთეულთან ონლაინ კავშირით); ან მიიღოს დაშვება, წვდომა, შეიძინოს ან მოიპოვოს ავტორიტეტული ან ბიბლიოგრაფიული მონაცემები;

4.5. ნავიგაცია კატალოგში და მის გარეთ (ანუ ბიბლიოგრაფიული და ავტორიტეტული მონაცემების ლოგიკური ორგანიზაციის მეშვეობითა და ძიების მკაფიო რეკომენდაციებით, რომლებიც მოიცავენ აგრეთვე კავშირების ცხად

წარმოდგენას ნაწარმოებებს, განსახიერებებს, განხორციელებებს, ფიზიკურ ერთეულებს, პირებს, გვარებს, ორგანიზაციებს, კონცეფციებს, საგნებს (ობიექტებს), მოვლენებსა და ადგილებს შორის).

5. ბიბლიოგრაფიული აღწერილობა

5.1. საზოგადოდ, ყოველი განხორციელებისთვის უნდა იქმნებოდეს ცალკე ბიბლიოგრაფიული აღწერილობა.

5.2. ბიბლიოგრაფიული აღწერილობა, როგორც წესი, ეფუძნება ფიზიკურ ერთეულს, როგორც განხორციელების წარმომადგენელს და შეიძლება შეიცავდეს ნაწარმოებისა და განსახიერების დამახასიათებელ ატრიბუტებსაც.

5.3. აღწერილობის მონაცემები უნდა ეფუძნებოდეს საერთაშორისო დონეზე შეთანხმებულ სტანდარტს [11].

5.4. აღწერილობები შეიძლება შეიცავდნენ მონაცემებს სხვადასხვა სისრულით, კატალოგის ან ბიბლიოგრაფიული ფაილის დანიშნულების მიხედვით. ინფორმაცია მონაცემების სისრულის დონეზე უნდა მიეწოდებოდეს მომხმარებელს.

6. წვდომის წერტილები

6.1. ზოგადი დებულებები

წვდომის წერტილები ბიბლიოგრაფიული ან ავტორიტეტული მონაცემების მიებისათვის უნდა იყოს ჩამოყალიბებული ზოგადი პრინციპების შესაბამისად (იხილეთ 2. ზოგადი პრინციპები). ისინი შეიძლება იყოს როგორც კონტროლირებადი, ასევე არაკონტროლირებადი.

6.1.1. კონტროლირებადი წვდომის წერტილები უნდა იქმნებოდეს ნაწარმოებების, განსახიერებების, განხორციელებების, ფიზიკური ერთეულების, პირების, გვარების, ორგანიზაციების, კონცეფციების, საგნების (ობიექტების), მოვლენებისა და ადგილების ავტორიზებული და ვარიანტული ფორმებისთვის. კონტროლირებადი წვდომის წერტილები უზრუნველყოფენ თავსებადობას და ერთგვაროვნებას, რაც საჭიროა რესურსების ჯგუფების ბიბლიოგრაფიული ჩანაწერების შეკრებითობისა და გაერთიანებისთვის.

6.1.1.1. სახელების (სახელწოდებების), მათი ვარიანტების და იდენტიფიკატორების ავტორიზებული ფორმების წვდომის წერტილებად გამოყენებისა და მათი კონტროლის მიზნით იქმნება ავტორიტეტული ჩანაწერები.

6.1.2. არაკონტროლირებადი წვდომის წერტილები სახელებისთვის (სახელწოდებებისთვის), სათაურებისთვის (მაგ. განხორციელებიდან აღებული ძირითადი სათაურისთვის), კოდებისთვის, საკვანძო სიტყვებისთვის და ა.შ. შეიძლება იქმნებოდეს როგორც ბიბლიოგრაფიული მონაცემები, რომელთა კონტროლი არ იწარმოება ავტორიტეტული ჩანაწერებით.

6.2. წვდომის წერტილების ამორჩევა

6.2.1. ბიბლიოგრაფიულ რესურსში წარმოდგენილ ნაწარმოებებისა და მათი განსახიერებებისთვის შექმნილ ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერთან წვდომის წერტილებად გამოიყენება კონტროლირებადი ავტორიზებული წვდომის წერტილები, განხორციელების სათაურისთვის ჩვეულებრივ გამოიყენება არაკონტროლირებადი წვდომის წერტილი, ხოლო ნაწარმოების შემქმნელებისთვის - ავტორიზებული წვდომის წერტილები.

6.2.1.1. ორგანიზაცია როგორც ნაწარმოების შემქმნელი: ორგანიზაცია ითვლება იმ ნაწარმოებთა შემქმნელად, რომლებშიც გამოხატულია ორგანიზაციის კოლექტიური აზრი ან მოღვაწეობა (საქმიანობა), ან სათაურის ფორმულირება ნაწარმოების ბუნებასთან (ხასიათთან) ერთად ცხადად მიუთითებს, რომ ორგანიზაცია კოლექტიურად არის პასუხისმგებელი ნაწარმოების შინაარსზე. ეს წესი ვრცელდება იმ შემთხვევაშიც, როდესაც ნაწარმოებზე ხელს აწერს ორგანიზაციის ხელმძღვანელი ან ორგანიზაციის სხვა პასუხისმგებელი პირი.

6.2.2. გარდა ამისა, წვდომის წერტილები ბიბლიოგრაფიული ჩანაწერებისადმი უნდა შეიქმნას პირების, გვარების, ორგანიზაციების და საგნების ავტორიზებული წვდომის წერტილებისთვის, რომელიც მიიჩნევა მნიშვნელოვნად აღწერილი ბიბლიოგრაფიული რესურსის მოძიებისა და იდენტიფიცირებისთვის.

6.2.3. ავტორიტეტული ჩანაწერისადმი წვდომის წერტილებად აბსტრაქტული ობიექტის სახელი (სახელწოდება) გამოიყენება ავტორიზებული ფორმით ისევე, როგორც ვარიანტული ფორმებით.

6.2.4. დამატებითი წვდომა შესაძლებელია დაკავშირებული აბსტრაქტული ობიექტების სახელების (სახელწოდებების) მეშვეობით.

6.3. ავტორიზებული წვდომის წერტილები

აბსტრაქტული ობიექტის სახელის (სახელწოდების) ავტორიზებული წვდომის წერტილი უნდა ჩაიწეროს ავტორიტეტულ ჩანაწერში ისევე როგორც აბსტრაქტული

ობიექტის იდენტიფიკატორები და ვარიანტული სახელები (სახელწოდებები).
ავტორიზებული წვდომის წერტილი შეიძლება საჭირო გახდეს როგორც
დისპლეიზე გამოტანის ნაგულისმევი ფორმა.

6.3.1. ავტორიზებული წვდომის წერტილის შედგენა უნდა ხდებოდეს სტანდარტის მიხედვით.

6.3.2. ავტორიზებული წვდომის წერტილების ენა და დამწერლობა

6.3.2.1. როდესაც სახელები (სახელწოდებები) წარმოდგენილია რამდენიმე ენაზე ან დამწერლობაში, სახელის (სახელწოდების) ავტორიზებული წვდომის წერტილისთვის უპირატესობა ენიჭება ინფორმაციას, რომელიც ორგინალის ენაზე და დამწერლობაშია და მოცემულია ნაწარმოების განსახიერებაში;

6.3.2.1.1. მაგრამ, თუ ორგინალის ენა და დამწერლობა ჩვეულებრივ არ გამოიყენება მოცემულ კატალოგში, მაშინ ავტორიზებული წვდომის წერტილი შეიძლება ეფუძნებოდეს ფორმებს, რომლებიც გამოყენებულია განხორციელებებში ან საცნობო წყაროებში იმ ენაზე და დამწერლობაში, რომელიც ყველაზე უფრო ხელსაყრელია (შესაფერისია) მოცემული კატალოგის მომხმარებლისთვის.

6.3.2.1.2. ორგინალის ენაზე და დამწერლობაში წვდომა უნდა იყოს უზრუნველყოფილი ყოველთვის როცა კი შესაძლებელია კონტროლირებადი წვდომის წერტილის მეშვეობით ან სახელის (სახელწოდების) ავტორიზებული ფორმისთვის ან ვარიანტული ფორმისთვის.

6.3.2.2. თუ სასურველია ტრანსლიტერაცია, დამწერლობის კონვერტირების საერთაშორისო სტანდარტი უნდა იყოს გამოყენებული (მიღებულ მხედველობაში).

6.3.3. ავტორიზებული წვდომის წერტილის არჩევა

სახელი (სახელწოდება), რომელსაც მიენიჭა უპირატესობა, როგორც აბსტრაქტულ ობიექტთან ავტორიზებულ წვდომის წერტილს, უნდა ეფუძნებოდეს სახელს (სახელწოდებას), რომლის საშუალებითაც ერთგვაროვნად, თანმიმდევრულად და მტკიცედ ხდება აბსტრაქტული ობიექტის იდენტიფიკაცია, ან ყველაზე ხშირად უნდა გვხვდებოდეს განხორციელებებზე ან უნდა იყოს კარგად ცნობილი საცნობარო წყაროებიდან (მაგალითად, “საყოველთაოდ მიღებული” სახელი (სახელწოდება)) და მოსახერხებელი კატალოგის მომხმარებლებისთვის.

6.3.3.1. ავტორიზებული წვდომის წერტილის არჩევა პირისთვის, გვარისთვის ან ორგანიზაციისთვის
თუ პირი, გვარი ან ორგანიზაცია იყენებენ ვარიანტულ სახელებს (სახელწოდებებს) ან სახელების (სახელწოდებების) ვარიანტულ ფორმებს, მაშინ ყოველი ცალკეული

პირისთვის, გვარისთვის ან ორგანიზაციისთვის (იდენტიფიკაციისთვის) ერთი სახელი (სახელწოდება) ან სახელის (სახელწოდების) ერთი ფორმა უნდა იქნას არჩეული ავტორიზებული წვდომის წერტილის ბაზისად.

6.3.3.1.1. როდესაც სახელების (სახელწოდებების) ვარიანტული ფორმები გვხვდება განხორციელებებში და/ან საცნობარო წყაროებში, და ეს განსხვავებები არ არის გამოწვეული ერთი და იგივე სახელის (სახელწოდების) სხვადასხვა პრეზენტაციით (წარდგინებით) (მაგალითად სრული და შემოკლებული ფორმები), უპირატესობა ენიჭება:

6.3.3.1.1.1. საყოველთაოდ ცნობილ (ან 'ჩვეულებრივ') სახელს (სახელწოდებას), სადაც იგი მითითებულია, და არა ოფიციალურ სახელს (სახელწოდებას); ან

6.3.3.1.1.2. ოფიციალურ სახელს (სახელწოდებას), თუ არ არის მითითებული საყოველთაოდ ცნობილი ან ჩვეულებრივად მიღებული სახელი.

6.3.3.1.2. ყოველი აბსტრაქტული ობიექტი, რომელიც იდენტიფიცირებულია სახელის (სახელწოდების) მნიშვნელოვანი ცვლილებით უნდა განიხილებოდეს, როგორც ახალი აბსტრაქტული ობიექტი. ამიტომ, თუ ორგანიზაციას დროის სხვადასხვა პერიოდებში ჰქონდა სხვადასხვა სახელწოდება, ისე რომ შეუძლებელია მათი განხილვა, როგორც ერთი და იგივე სახელის მცირეოდენი ცვლილებებისა, ასეთი ორგანიზაციები განიხილება, როგორც სხვადასხვა ორგანიზაციები. ყოველი ასეთი ორგანიზაციის (აბსტრაქტული ობიექტის) შესაბამისი ავტორიტეტული მონაცემები უნდა იყოს დაკავშირებული ერთმანეთთან ბმულებით მათი წინა და მომდევნო სახელწოდებების ავტორიზებული ფორმების მეშვეობით.

6.3.3.2. ავტორიზებული წვდომის წერტილის ამორჩევა ნაწარმოებისა და განსახიერებისთვის როდესაც ნაწარმოებს რამდენიმე სათაური გააჩნია, ერთ სათაურს უნდა მიენიჭოს უპირატესობა, როგორც ნაწარმოების ან განსახიერების ავტორიზებული წვდომის წერტილის ბაზისს.

6.3.4. ავტორიზებული წვდომის წერტილის სახელის (სახელწოდების) ფორმა

6.3.4.1. პირის სახელის ფორმა

როდესაც პირის სახელი შედგება რამდენიმე სიტყვისგან, პირველი სიტყვის არჩევა ავტორიზებული წვდომის წერტილისთვის უნდა იცავდეს შეთანხმებებს რომლებიც მიღებულია მოცემულ ქვეყანაში მოცემული ენისთვის და ყველაზე უფროა ასოცირებული მოცემულ პირთან განხორციელებებსა და საცნობარო წყაროებში.

6.3.4.2. გვარის სახელწოდების ფორმა

როდესაც გვარის სახელწოდება (ან უბრალოდ გვარი) შედგება რამდენიმე სიტყვისგან, პირველი სიტყვის არჩევა ავტორიზებული წვდომის წერტილისთვის უნდა შეესაბამებოდეს ქვეყანაში და ენაში მიღებულ შეთანხმებებს და რომელიც ყველაზე უფრო ასოცირებულია მოცემულ გვართან განხორციელებებსა და საცნობარო წყაროებში.

“გვარის” განმარტება ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიდან:

1. მემკვიდრეობითი საოჯახო სახელწოდება, რომელიც ერთვის ადამიანის საკუთარ სახელს.
2. ერთი წინაპრის შთამომავლები; ერთი და იმავე გვარის (მნიშვნელობა 1) მატარებელ ადამიანთა ჯგუფი.

6.3.4.3. ორგანიზაციების სახელწოდების ფორმა

ავტორიზებული წვდომის წერტილისთვის ორგანიზაციების სახელწოდება უნდა იყოს მოცემული პირდაპირი მიმდევრობით, ისე როგორც მოყვანილია განხორციელებებსა და საცნობარო წყაროებში, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

6.3.4.3.1. როდესაც ორგანიზაცია არის იურისდიქციის ან ტერიტორიული ხელისუფლების ნაწილი, ავტორიზებული წვდომის წერტილი უნდა მოიცავდეს ამ ტერიტორიის სახელწოდების თანამედროვე ფორმას იმ ენაზე და დამწერლობაში, რომლებიც ყველაზე უფრო შეესაბამება კატალოგის მომხმარებელთა მოთხოვნილებებს;

6.3.4.3.2. როდესაც ორგანიზაციის სახელწოდება გულისხმობს დაქვემდებარებას, ან დაქვემდებარებულ ფუნქციებს, ან არ არის საკმარისი დაქვემდებარებული ორგანიზაციის იდენტიფიკაციისთვის, ავტორიზებული წვდომის წერტილი უნდა იწყებოდეს ზემდგომი ორგანიზაციის სახელწოდებით.

6.3.4.4. ნაწარმოების/განსახიერების სახელწოდების ფორმა

ავტორიზებული წვდომის წერილი ნაწარმოებისთვის, განსახიერებისთვის, განხორციელებისთვის ან ფიზიკური ერთეულისთვის შეიძლება იყოს ცალკე მდგომი (დაბეჭდილი) სათაური ან სათაური შერწყმული ნაწარმოების შემქმნელის (შემქმნელების) ავტორიზებულ წვდომის წერტილთან.

6.3.4.5. სახელების (სახელწოდებების) გარჩევა ერთმანეთისგან

ერთიდაიგივე სახელის (სახელწოდების) მქონე აბსტრაქტული ობიექტების ერთმანეთისგან გასარჩევად სხვა მაიდენტიფიცირებელი ნიშნები უნდა დაემატოს აბსტრაქტული ობიექტის ავტორიზებულ წვდომის წერტილს. თუ სასურველია, იგივე მაიდენტიფიცირებელი ნიშნები შეიძლება ჩაირთოს, როგორც ნაწილი, სახელის (სახელწოდების) ვარიანტულ ფორმაშიც.

6.4. ვარიანტული სახელები (სახელწოდებები) და სახელის (სახელწოდების)

ვარიანტული ფორმები

როგორი სახელიც (სახელწოდებაც) არ უნდა იყოს არჩეული ავტორიზებული წვდომის წერტილისთვის, ვარიანტული სახელები (სახელწოდებები) და სახელების (სახელწოდებების) ვარიანტული ფორმები უნდა იქნენ ჩართული კონტროლირებად წვდომაში.

7. საძიებო შესაძლებლობების საფუძვლები

7.1. ძიება

წვდომის წერტილები ბიბლიოგრაფიული და ავტორიტეტული ჩანაწერების ისეთი ელემენტებია, რომლებიც 1) უზრუნველყოფენ ბიბლიოგრაფიული და ავტორიტეტული ჩანაწერების და მათთან დაკავშირებულ ბიბლიოგრაფიული რესურსების ძიების საიმედო შედეგებს და, 2) ძიების შედეგების შეზღუდვის შესაძლებლობებს.

7.1.1. ძიების საშუალებები (ხერხები)

მოცემული ბიბლიოთეკის კატალოგში ან ბიბლიოგრაფიულ ფაილში ძიების საშუალებებმა (ხერხებმა, მექანიზმებმა) უნდა უზრუნველყონ ძიება და შედეგების მიღება სახელებით (სახელწოდებებით), სათაურებით და საგნობრივი რუბრიკებით (მათ შორის, სახელების (სახელწოდებების) სრული ფორმებით, საკვანძო სიტყვებით, ფრაზებით, სიტყვების წაკვეთებით, იდენტიფიკატორებით და ა.შ.)

7.1.2. მთავარი წვდომის წერტილები

მთავარ წვდომის წერტილებს წარმოადგენენ ის წვდომის წერტილები, რომლებიც დაფუძნებულია აბსტრაქტული ობიექტის მთავარ ატრიბუტებსა და კავშირებზე ბიბლიოგრაფიულ ან ავტორიტეტულ ჩანაწერში.

7.1.2.1. ბიბლიოგრაფიული ჩანაწერისთვის მთავარი წვდომის წერტილებია:

- ავტორიზებული წვდომის წერტილი ნაწარმოების შემქმნელის ან პირველად მოყვანილი შემქმნელის (როდესაც დასახელებულია ერთზე მეტი შემქმნელი) სახელისთვის (სახელწოდებისთვის)
- ავტორიზებული წვდომის წერტილი ნაწარმოებისთვის/განსახიერებითვის (რომელიც შეიძლება მოიცავდეს ავტორიზებულ წვდომის წერტილს შემქმნელისთვის)
- ძირითადი სათაური ან განხორციელების სათაური (ფორმულირებული კატალოგიზატორის მიერ)
- განხორციელების გამოცემის ან გამოშვების წელი(წლები)

- კონტროლირებადი საგნობრივი ტერმინები და/ან საკლასიფიკაციო ინდექსები ნაწარმოებისთვის
- აღსაწერი აბსტრაქტული ობიექტის სტანდარტული ნომრები, იდენტიფიკატორები და "საკვანძო სათაურები".

7.1.2.2. ავტორიტეტული ჩანაწერების მთავარი წვდომის წერტილებია:

- აბსტრაქტული ობიექტის ავტორიზებული სახელი (სახელწოდება) ან სათაური
- აბსტრაქტული ობიექტის იდენტიფიკატორები
- აბსტრაქტული ობიექტის ვარიანტული სახელი (სახელწოდება) და სახელის (სახელწოდების) ვარიანტული ფორმები ან სათაური

7.1.3. დამატებითი წვდომის წერტილები

ატრიბუტები ბიბლიოგრაფიული აღწერილობის სხვა სფეროებიდან ან ავტორიტეტული ჩანაწერიდან შეიძლება განიხილებოდეს როგორც ფაკულტატიური წვდომის წერტილები ან ძიების ფილტრები და შემძლედელები.

7.1.3.1. . ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერებში ასეთი ატრიბუტებია, მაგრამ არა მარტო:

- დანარჩენი შემქმნელების სახელები (სახელწოდებები), პირველის მიღმა
- პირების და გვარების სახელები, ორგანიზაციების სახელწოდებები, რომლებიც არ არიან ნაწარმოების შემქმნელები, მაგრამ ასრულებენ სხვა როლს (მაგალითად შემსრულებლები)
- ვარიანტული სათაურები (მაგალითად, პარალელური სათაურები, კერძო სათაურები)
- ავტორიზებული წვდომის წერტილი სერიისთვის
- ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის იდენტიფიკატორები
- განსახიერების ენა მოცემულ განხორციელებაში
- გამოცემის ადგილი
- შემცველობის ტიპი
- ინფორმაციის მატარებლის ტიპი

7.1.3.2. ავტორიტეტულ ჩანაწერებში ასეთი ატრიბუტები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება:

- დაკავშირებული აბსტრაქტული ობიექტების სახელებს (სახელწოდებებს) ან სათაურებს

- ავტორიტეტული ჩანაწერის იდენტიფიკატორებს.

7.2. ძიების შედეგების მიღება

როდესაც ძიების შედეგად მიიღება რამდენიმე ჩანაწერი ერთი და იგივე წვდომის წერტილით, მიღებული ჩანაწერები უნდა გამოჩნდნენ მომხმარებლისთვის მოხერხებულ რაიმე ლოგიკური რიგით, სასურველია წვდომის წერტილების ენისა და დამწერლობის შესაბამისი სტანდარტის მიხედვით.

დამოწმებები

1 International Conference on Cataloguing Principles (Paris : 1961). *Report*. – London : International Federation of Library Associations, 1963, p. 91-96. Also available in: *Library Resources and Technical Services*, v. 6 (1962), p.

162-167; and *Statement of principles adopted at the International Conference on Cataloguing Principles, Paris, October, 1961*. – Annotated edition / with commentary and examples by Eva Verona. – London : IFLA Committee on Cataloguing, 1971.

2 Cutter, Charles A.: *Rules for a Dictionary Catalog*. 4th ed., rewritten. Washington, D.C.: Government Printing office. 1904, Ranganathan, S.R.: *Heading and Canons*. Madras [India]: S. Viswanathan, 1955, and

Lubetzky, Seymour. *Principles of Cataloging. Final Report. Phase I: Descriptive Cataloging*. Los Angeles, Calif.: University of California, Institute of Library Research, 1969.

3 *Functional Requirements for Bibliographic Records: Final report*. – Munich : Saur, 1998. (IFLA UBCIM publications new series; v. 19) Available on the IFLA Web site:

<http://www.ifla.org/VII/s13/frbr/> (Sept. 1997, as amended and corrected through February 2008)

The FRBR model will soon be extended through *Functional Requirements for Authority Data* (FRAD) and *Functional Requirements for Subject Authority Data* (FRSAD).

4 Based on bibliographic literature, especially that of Ranganathan and Leibniz as described in Svenonius, Elaine. *The Intellectual Foundation of Information Organization*. Cambridge, Mass.: MIT Press, 2000, p. 68. With regard to subject thesauri, there are additional principles that apply but are not yet included in this statement.

5 Principles 2.2 through 2.9 are in no particular order.

6 IFLA's conceptual models are FRBR, FRAD, and FRSAD.

7 Work, expression, manifestation, and item are the Group 1 entities described in the FRBR model.

8 Person, family, and corporate body are the Group 2 entities described in the FRBR and FRAD models.

9 Concept, object, event, and place are the Group 3 entities described in the FRBR model. Any of the entities may be involved in a subject relationship with a work.

10 4.1-4.5 are based on: Svenonius, Elaine. *The Intellectual Foundation of Information Organization*. Cambridge, Mass.: MIT Press, 2000.

11 For the library community, the internationally agreed standard is the *International Standard Bibliographic Description*.

კატალოგიზაციის საერთაშორისო პრინციპების დებულების
ინგლისურ-რუსულ-ქართული ლექსიკონი

ICP GLOSSARY 2

English Russian Georgian

BT = Broader term; NT = Narrower term; RT = Related term

БШТ = Более широкий термин; БУТ = Более узкий термин; СТ = Связанный термин

უფტ = უფრო ფართო ტერმინი; უვტ = უფრო ვიწრო ტერმინი; დტ = დაკავშირებული ტერმინი

Access point – A name, term, code, etc., through which bibliographic or authority data is searched and identified.

[Source: GARR modified per FRAD and IME ICC]

See also **Additional access point** [NT], **Authorized access point** [NT], **Controlled access point** [NT], **Essential access point** [NT], **Name** [RT], **Uncontrolled access point** [NT], **Variant form of name** [NT]

Точка доступа (Access point) – имя (наименование), термин, код и т.п., с помощью которого могут быть найдены и идентифицированы библиографические или авторитетные данные.

წვდომის წერტილი (Access point) – სახელი (სახელწოდება), ტერმინი, კოდი და ა.შ., რომლის საშუალებითაც ხდება ბიბლიოგრაფიული ან ავტორიტეტული მონაცემების ძიება და იდენტიფიცირება.

Additional access point – An access point that may be used in addition to the essential access points to enhance the retrieval of bibliographic or authority data.

[Source: IME ICC]

See also Access point [BT], Essential access point [RT]

Дополнительная точка доступа (Additional access point) - точка доступа, которая может быть использована в дополнение к обязательным точкам доступа, чтобы облегчить поиск библиографических или авторитетных данных.

დამატებითი წვდომის წერტილი (Additional access point) - წვდომის წერტილი, რომელიც შეიძლება იყოს გამოყენებული მთავარ წვდომის წერტილთან ერთად, ბიბლიოგრაფიული და ავტორიტეტული მონაცემების ძიების გასაძლიერებლად.

Agent – A person (author, publisher, sculptor, editor, director, composer, etc.) or a group (family, organization, corporation, library, orchestra, country, federation, etc.) or an automaton (weather recording device, software translation program, etc.) that has a role in the lifecycle of a resource.

[Source: DCMII Agents Working Group, working definition, modified]

See also Creator [NT]

Агент (Agent) – лицо (автор, издатель, скульптор, редактор, режиссер, композитор и др.), или группа (род, организация, корпорация, библиотека, оркестр, страна, федерация и т.п.), или автомат (устройство, регистрирующее погоду, электронная программа-переводчик и т. п.), которые играют определенную роль в жизненном цикле ресурса.

აგენტი (Agent) – პირი (ავტორი, გამომცემელი, მოქანდაკე, რედაქტორი, რეჟისორი, კომპოზიტორი, და სხვ.) ან ჯგუფი (ოჯახი, საგვარეულო, გვარი, ორგანიზაცია, კორპორაცია, ბიბლიოთეკა, ორკესტრი, ქვეყანა, ფედერაცია და სხვ.) ან ავტომატი (ამინდის მარეგისტრირებელი მოწყობილობა, მთარგმნელი კომპიუტერული პროგრამა და სხვ.), რომლებიც თამაშობენ გარკვეულ როლს რესურსის სასიცოცხლო ციკლში.

Attribute – Characteristic of an entity. An attribute can be inherent in an entity or externally imputed.

[Source: FRBR]

Атрибут (Attribute) – характеристика объекта. Атрибут может быть неотъемлемой частью объекта, а может быть заимствован извне.

ატრიბუტი (Attribute) – აბსტრაქტული ობიექტის მახასიათებელი, თვისება. ატრიბუტი შეიძლება იყოს აბსტრაქტული ობიექტის განუყოფელი ნაწილი ან გარედან შემოტანილი (მიწერილი).

Authority record – A set of data elements that identifies an entity and can be used to facilitate access to the authorized access point for that entity or the display of any access point for the entity.

Authority

noun

власть	power, authority, rule, control, grip, dominion
власти	authorities, authority
полномочие	authority, power, proxy, commission, competency, procuration
авторитет	authority, weight, say, mana
основание	base, basis, reason, foundation, ground, bottom
влияние	influence, impact, effect, power, sway, action
начальство	authority, brass, top-brass
авторитетный	authority
источник	
крупный	authority
специалист	
вес	weight, heft, ponderosity, avoirdupois, authority
значение	value, meaning, importance, significance, weight, concern
ведение	management, conduct, conducting, authority, running, transaction

Авторитетная запись (Authority record) – совокупность элементов данных, которая идентифицирует объект и может использоваться, чтобы облегчить доступ к авторитетной точке доступа для этого объекта или вывод любой точки доступа для объекта.

ავტორიტეტული ჩანაწერი (Authority record) - ელემენტთა მონაცემების სიმრავლე, რომლის მეშვეობით ხდება აბსტრაქტული ობიექტის იდენტიფიცირება, და რომელიც შეიძლება იყოს გამოყენებული აბსტრაქტული ობიექტის ავტორიზებულ წვდომის წერტილთან წვდომის ხელშესაწყობად ან აბსტრაქტული ობიექტის ნებისმიერი წვდომის წერტილის დისკლემიზზე გამოსატანად (საჩვენებლად).

Authorized access point – The preferred controlled access point for an entity established and constructed according to rules or standards.

[Source: IME ICC]

See also Access point [BT], Authorized form of name [RT], Controlled access point [BT], Preferred name [RT], Variant form of name [RT]

Authorize

verb

разрешать	allow, let, authorize, permit, resolve, solve
разрешать	allow, let, authorize, permit, resolve, solve
авторизовать	authorize, authorise, authorize, authorise
авторизовать	authorize, authorise, authorize, authorise
санкционировать	authorize, sanction, approve, countenance, sanctify, approbate
санкционировать	authorize, sanction, approve, countenance, sanctify, approbate
уполномочивать	authorize, empower, commission, delegate, accredit, authorise
уполномочивать	authorize, empower, commission, delegate, accredit, authorise
поручать	entrust, charge, delegate, commission, authorize, commit
поручать	entrust, charge, delegate, commission, authorize, commit
оправдывать	justify, warrant, excuse, defend, acquit, explain
оправдывать	justify, warrant, excuse, defend, acquit, explain
объяснять	explain, account for, account, interpret, justify, elucidate
объяснять	explain, account for, account, interpret, justify, elucidate

Authorized - უფლებამოსილი

Авторитетная точка доступа (Authorized access point) – предпочтительная контролируемая точка доступа к объекту, установленная и сформированная в соответствии с правилами или стандартами

ავტორიზებული წვდომის წერტილი (Authorized access point) – აბსტრაქტულ ობიექტთან უპირატესობის მქონე კონტროლირებადი წვდომის წერტილი, რომელიც დადგენილია და შექმნილია წესებისა ან სტანდარტების მიხედვით (შესაბამისად).

Authorized form of name – The form of name chosen as the authorized access point for an entity.

See also Authorized access point [RT], Conventional name [RT], Name [BT], Preferred name [RT], Variant form of name [RT]

Авторитетная форма имени (наименования) (Authorized form of name) – форма имени (наименования), выбранная в качестве авторитетной точки доступа для объекта.

სახელის (სახელწოდების) ავტორიზებული ფორმა (Authorized form of name) – სახელის (სახელწოდების) ფორმა, რომელიც არჩეულია აბსტრაქტული ობიექტისთვის, როგორც ავტორიზებული წვდომის წერტილი.

Bibliographic description – A set of bibliographic data identifying a bibliographic resource.

